ISSN 1512-1801

The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

# უსინათლოთა პროფესიული განათლება

# (სასტარტო პირობები, საფრთხეები და შესაძლებლობები)

ზაზა ადანაია
არასამთავრობო ორგანიზაცია „აქტა ვიტა"

***ანოტაცია***

*თემა ეხება საქართველოშიი უსინათლოების პროფესიული განათლებისა და დასაქმების საკითხს. წარმოდგენილია შეხედულება ინმის შესახებ, რომ მწვავე კონკურენციის პირობებში, შრომის ბაზარრზე ადგილის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის უსინათლოებმა მუდმივად უნდა იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განათლების მიღებისათვის.*

*ამიტომ, უსინათლოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მათ მიიღონ სრულფასოვანი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით საქართველოში განათლების სისტემა მზად არ არის იმისათვის, რომ უსინათლოებს მისცეს თანამედროვე პროფესიული განათლება.*

*გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოში მომზადდეს და ამოქმედდეს შშმ პირთა (მათ შორისუსინათლოთა) პროფესიული განათლებისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამას საფუძვლად დაედოს ევროპის სახელმწიფოებში და ასევე სხვა ქვეყნებში წარმატებით აპრობირებული მოდელები.*

*პროგრამის მომზადების კონტექსტში, განხილულია საქართველოში არსებული სასტარტო პირობები, უპირატესობები, საფრთხეები და ამ საფრთხეების ნეიტრალიზაციის შესაძლებლობები. პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით ხაზგასმულია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა.*

*დასკვნის სახით გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამჟამად ქვეყანაში არის წინა პირობა უსინათლოთა პროფესიული განა?თლებისა და დასაქმების საკითხებზე პროგრამული სამუშაოების დაწყებისათვის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *უსინათლო, განათლება,პროგრამა.*

უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, შრომის მსოფლიო ბაზარზე, საგრძნობლად მწვავდება კონკურენცია. ამასთანავე, ჩნდება ახალი შესაძლებლობები და მათი ეფექტიანად გამოყენებისათვის იქმნება შესაბამისი პირობები. ზოგადად, არავისთვისაა ადვილი შრომის ბაზარზე სტაბილური მდგომარეობის მოპოვება და შენარჩუნება. განსაკუთრებით ძნელია ეს უსინათლოებისათვის. სასტარტო პირობები მათთვის გაცილებით უარესია. შეზღუდული შესაძლებლობების არ მქონე ადამიანებთან შედარებით, უსინათლოებს ბევრად მეტი ძალისხმევის გაღება უწევთ შრომის ბაზარზე ადგილის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის.

მათი შრომითი აქტივობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში, უსინათლოებმა მუდმივად უნდა იზრუნონ საკუთარი ცოდნის განახლებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და შრომითი

ISSN 1512-1801


უნარების დახვეწისათვის. სწორედ ამიტომ, უსინათლოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მათ ჰქონდეთ სრულფასოვანი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა.

ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობის დონე ზოგადად ძალიან მაღალია, მაგრამ ამასთან შედარებითაც კი, კატასტროფულად დაბალია, უსინათლოთა შორის, დასაქმებულ პირთა რაოდენობა. ჩვენი მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები სამიათასზე მეტი უსინათლოდან დასაქმებულია ორასზე ნაკლები და ამ დასაქმებულთა უმრავლესობის შრომის ანაზღაურება მიზერულია.

ამ მხრივ, სურათი მართლაც მძიმეა და ამას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ისიც განაპირობებს, რომ ქვეყანაში  მცხოვრებ უსინათლოთა დიდ უმრავლესობას არა აქვს, თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი, პროფესიული განათლება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად საქართველოში სულ სამი უსინათლო იღებს პროფესიულ განთლებას, ხოლო შემდგომში დასაქმების პერსპექტივით, კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე ახალი პროფესიის დაუფლების მსურველთა ოდენობა, მთელი ქვეყნის მაშტაბით, ხუთასს უტოლდება. რეალურად გვაქვს მდგომარეობა, როცა გამოკვეთილია საჭიროება, არის მოთხოვნაც,მაგრამ არ არსებობს სათანადო შეთავაზება.

უთუოდ აღსანიშნავია წვლილი, რომელიც უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და შრომითი მოწყობის საქმეში შეაქვთ ცალკეულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ბიზნეს სტრუქტურებს, თუ დონორთა ფონდებს, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

პროფესიული განათლების სისტემა ჯერ ჯერობით მზად არ არის იმისათვის, რომ უსინათლოებმა მიიღონ,  თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი, პროფესიული განათლება.

აშკარაა, რომ სასტარტო პირობები ნამდვილად არაა სახარბიელო, მაგრამ იგი არც ისე უიმედოა, რადგან არსებობს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, ა.შ.შ- ში, კანადაში, ჩინეთში და ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აპრობირებული წარმატებული მოდელები. სწორედ ასეთი წარმატებული გამოცდილების არსებობა გახლავთ ის უპირატესობა, რომლის გამოყენებითაც შედარებით მოკლე დროში, საქართველოში შესაძლებელია მოგვარდეს, უსინათლოთა პროფესიულ განათლებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული, პრობლემების უმეტესობა.

აღნიშნული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მიზნით, აუცილებელია მომზადდეს და ამოქმედდეს შ.შ.მ. პირთა პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამები. ამგვარი პროგრამები წარმატებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ უსინათლოთა პროფესიულ განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მაგრამ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ნებისმიერი კატეგორიის პირთა პრობლემები მეტ წილად მაინც იდენტურია და მათი მოგვარებისათვის საჭიროა ერთობლივი საქმიანობა და კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება.

სახელმწიფო პროგრამების მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებული საფრთხეები, ასევე ამ საფრთხეების ნეიტრალიზაციის შესაძლებლობები. მოკლედ განვიხილავთ ჯერ გარკვეულ საფრთხეებს,ხოლო

ISSN 1512-1801


შემდეგ  მათი გაუვნებელყოფის შესაძლებლობებს. განხილვისას ვიყენებთ პრინციპს საფრთხეს ანეიტრალებს შესაძლებლობა.

ჩვენი თვალსაზრისით, დღეისათვის წინა პლანზეა შემდეგი სახის საფრთხეები:შ.შ.მ პირთა (მათ შორის უსინათლოთა) პროფესიულ განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი სახელმწიფო არ ავლენს საკმარის დაინტერესებას; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა.პროფესიული განათლების სისტემაში დასაქმებულ სპეციალისტებს არა აქვთ უსინათლო ბენეფიციარებთან მუშაობისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. საგანმანათლებლო დაწესებულებები და სწავლების პროცესი არ არის ადაპტირებული შ.შ.მ პირთა (მათ შორის უსინათლოთა) სპეციალური საჭიროებების შესაბამისად. არაა შესწავლილი უსინათლოთა შრომითი უნარები და შესაძებლობები. პოტენციური დამსაქმებლები ნიჰილისტურად არიან განწყობილნი უსინათლოთა დასაქმების მიმართ, რადგან მიაჩნიათ რომ უსინათლოთა შრომა არ არის რენტაბელური. პროფესიული განათლების მიღების მოტივაცია უსინათლოთა შორის მაღალი არ არის, რადგან ისინი ვერ ხედავენ შემდგომში დასაქმების პერსპექტივას.

ვფიქრობთ, რომ მოცემული საფრთხეების ნეიტრალიზაცია სავსებით რეალურია ქვემოთ ნაჩვენები შესაძლებლობების გამოყენების გზით:შ.შ.მ პირები სოლიდარული ძალისხმევით მარლთზომიერი  სამოქალაქო აქტივობებით, უცხოელი პარტნიორების დახმარებით, საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით დაარწმუნებენ სახელმწიფოს მესვეურებს იმაში, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც სასარგებლო იქნება სახელმწიფოსათვის. საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელისუფლო სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შ.შ.მ პირების აქტიური მონაწილეობით შემუშავებული იქნება უსინათლოთა პროფესიული განათლებისა და დასაქმების მიმართლების განვითარების ხედვა. სახელმწიფოს შესწევს უნარი და მან უნდა წარმართოს პროფესიული განათლების სისტემაში უსინათლო ბენეფიციარებთან მომუშავე სპეციალისტების მომზადების პროცესი. საქართველოს კონსტიტუციისა, შ.შ.მ პირთა შესახებ გაეროს კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი. იგი მოვალეა შექმნას პირობები იმისათვის,რომ თავისი სამოქალაქო უფლებების რეალიზებისათვის, ყველა მოქალაქეს ჰქონედს თანაბარი შესაძლებლობა. ჩატარდეს უსინათლოთა გამოკითხვა და დადგინდეს რა შესაძლებლობები ააქვთ მათ და რომელი სპეციალობის დაუფლება სურთ. იმ ბიზნეს სტრუქტურებს, რომლებიც დაასაქმებენ შ.შ.მ პირებს (მათ შორის უსინათლოებს) სახელმწიფომ საგადასახადო კუთხით უნდა დაუკანონოს გარკვეული შეღავათი.სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და ქვეყანაში შემოიღოს, როგორც კერძო სამეწარმეო, თუ არასამეწარმეო სუბიექტებისათვის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შ.შ.მ პირთა კვოტის მიხედვით დასაქმების ვალდებულება.მაგ:ყველასტრუქტურა ვალდებული იქნება თავისი საშტატო ერთეულების 3%, კვოტის სახით გამოჰყოს შ.შ.მ პირთა( მათ შორის უსინათლოთა) დასაქმებისათვის. შ.შ.მ პირთა შრომითი მოწყობის მსგავსი მოდელები ფუნქციონირებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: პოლონეთი, გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი,ნორვეგია და კიდევ 25 სახელმწიფოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაჭოთა ქვეყნებში, სადაც თითქმის ისეთივე სასტარტო პირობები იყო როგორიც საქართველოში, დღეს დღეობით უსინათლოთა პროფესიულ

ISSN 1512-1801


განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით, საქართველოსთან შედარებით, საგრძნობლად უკეთესი სიტუაციაა.

აქედან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ჩვენს ქვეყანაშიც შესაძლებელია მდგომარეობის გამოსწორება.

სხვა ქვეყნებში დაგროვილი წარმატებული გამოცდილება არის ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მომზადდეს სამუშაო პროგრამა. საჭიროა ინტელექტუალური, თუ მატერიალური რესურსების მობილიზება, სხვაგან არსებული წარმატებული მოდელების გაანალიზება, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება, მენეჯმენტის სფეროში აპრობირებული მიგნებების გამოყენება, ტექნიკური სიახლეების დანერგვა, ადგილობრივ მოცემულობასთან ადაპტირებული მოდელის შექმნა და იმპლემენტაცია.

ამ მიმართლებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. თემით დაინტერესდა „ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" ამ საკითხზე ნაყოფიერად მუშაობს „პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრი", დაფუძვნებულია სოციალური საწარმოები.

უსინათლოთა პროფესიულ განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისათვის მიმართული ძალისხმევა პოზიტიური შედეგის მომტანი რომ იყოს, აუცილებელია ყველა დაინტერესებული და კომპეტენტური სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივი ინსტიტუციის კოორდინირებული საქმიანობა. პრობლემები მოგვარდება, თუ იქნება საამისოდ ნება და შესაძლებლობა.

ვფიქრობთ, რომ ამჟამად ქვეყანაში არსებული ვითარება იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს და შექმნილია წინაპირობა იმისათვის, რომ დაიწყოს შ.შ.მ პირთა პროფესიული განათლებისა და დასაქმების საკითხებზე სახელმწიფო პროგრამის მომზადება.

## <u>გამოყენებული ლიტერატურა</u>

1. People with Disabilities and Higher Education, Author: Wendy Taormina-Weiss Published: Aug 14, 2012 (Revised: Jul 17, 2013) http://www.disabled-world.com/disability/education/higher-ed.php;
2. INCLUSIVE EDUCATION FOR YOUNG DISABLED PEOPLE IN EUROPE: TRENDS, ISSUES AND CHALLENGES A synthesis of evidence from ANED country reports and additional sources Serge Ebersold(National Higher Institute for training and research on special needs education, INSHEA) with Marie José Schmitt and Mark Priestley April 2011;
3. http://www.disability-europe.net/content/aned/media/ANED%202010%20Task%205%20Education%20final%20report%20-%20FINAL%20(2)_0.pdf;
4. http://www.jrf.org.uk/publications/education-and-employment-disabled-young-people;
5. http://www.inclusive-education-in-action.org/iea/index.php?menuid=59;
6. http://www.unesco.org/new/en/education/themes/strengthening-education-systems/inclusive-education/people-with-disabilities/;
7. http://www.inclusive-education-in-action.org/iea/index.php?menuid=59;